

მრავალხმიანობა და ქართული ხალხური საკრავები (ჩონგური)

ქართულ ტრადიციულ ინსტრუმენტარიაში გამოირჩევა ჩამოსაკრავთა ჯგუფი – სამსიმიანი ფანდური და ოთხსიმიანი ჩონგური. ეს საკრავები გავრცელების ყველაზე ფართო არეალს მოიცავს და ინტენსივობის მაღალი კოეფიციენტიც ხასიათდება. ფანდური აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური დიალექტების, ხოლო ჩონგური დასავლეთ საქართველოს ბარის მუსიკალური დიალექტების არეალში არის მოქცეული. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ოთხსიმიანი ჩონგური სამსიმიანი ფანდურის განვითარების შედეგს წარმოადგენს (შილაკაძე, 1970:49-50).

ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საგუნდო სიმღერისა და ინსტრუმენტული მუსიკის განვითარების დონეთა შორის განსხვავება. მაგრამ საკრავიერი მუსიკა ასახავდა და ასახავს მუსიკალური აზროვნების იმ ლოგიკას და მრავალხმიანობის განვითარების იმ გზას, საითაც მიიმართებოდა მრავალხმიანი სიმღერა. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მუსიკალურ ინსტრუმენტარიაში დაკავშირებული ტერმინოლოგია.

ტრადიციული ჩონგური ოთხსიმიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტია, ერთ მეტრამდე სიგრძისა, მსხლისებრი კორპუსით, რომელიც, როგორც წესი, დამზადებულია ერთმანეთზე მიწებებული ხის თხელი ფირფიტებისაგან. საკრავის ყელი და კორპუსის ნაპირები ინკრუსტირებულია სადაფით, ძვლით ან მუქი ფერის ხის ფირფიტით (სხვა ქართულ საკრავებს ინკრუსტაცია არ აქვთ). ყელზე საქცევები არა აქვს. სიმები დამზადებულია აბრეშუმის ძაფისაგან (ესეც სპეციფიკურია, სხვა საკრავებზე ტრადიციულად ცხვრის ნაწლავის სიმი ან ძუა გამოიყენებოდა). ოთხი სიმიდან სამი თანაბარი სიგრძისაა, მეოთხე – დაახლოებით ერთი მესამედით მოკლეა დანარჩენებზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის ჩონგურს წინ უსწრებდა ფანდურის მსგავსად მთლიანი ხისაგან გამოთლილი. ამგვარი ჩონგურების ნიმუშები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა (საინვენტარო №51/39: 91) და საქართველოს ხალხურ საკრავთა მუზეუმში, თბილისში. ორივე ნიმუში სამეგრელოდანაა.

ჩონგურს აქვს რამდენიმე წყობა. ამათგან, ზოგი სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის არის დაფიქსირებული და ცნობილია სახელწოდებებით: „პირველი“, „მეორე“, „მესამე“. ესენია: 1) f a c' f', 2) f a c' e', 3) f g c' g'. ვ. ახოზაძის მიერ აჭარაში დამონმებულია წყობა f as c' es' (ახოზაძე, 1961:35). დ. არაყიშვილს დასახელებული აქვს აგრეთვე f b d' f' (Áðâèèè âèèè, 1908:83). 1971 წელს გურიაში, ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში, 73 წლის ოლია იობიშვილურუშაძისაგან დავაფიქსირე უნიკალური წყობა f a c' a' (შილაკაძე, 1971:163). დ. არაყიშვილის ნაშრომში მოტანილია სამხმიანი წყობებიც: sol-do-re, fa-la-do, sol-do-sol, sol-re-sol (Áðâèèè âèèè, 1908:83).

როგორც აღინიშნა, ჩონგურის წყობებს ეწოდებათ „პირველი“, „მეორე“, „მესამე“. მაგრამ სავარაუდოა ისეთი სახელწოდებების არსებობაც, რომელშიც წყობის არსებითი ნიშანი იქნებოდა ასახული. ამის საფუძველს იძლევა დ. არაყიშვილის ცნობა: მეორე წყობას გურიაში ჰქვია „ამობილი“ (არაყიშვილი, 1940: 41-42). ეს სახელწოდება ზილის სიმის დაჭიმულობის მაჩვენებელია. „ამობილი“

„მოშვებულის“ დიალექტური ფორმაა. მოცემულ შემთხვევაში ზილის სიმი არის „მოშვებული“ პირველ წყობასთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავიმოწმოთ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი ტერმინები – ბოხი სიმის ძველი ქართული სახელწოდება „მოშუე □ ანუ ბოში“, რომელიც სიმის მოშვებულობასთან არის დაკავშირებული და „წვრილი სიმის სახელწოდება „მსხირპანე“, რომელიც სემანტიკურად უკავშირდება „განსხიპვას“, დაჭიმულობას (ჯავახიშვილი, 1938:312). სიმის მოშვება არის განმსაზღვრელი ტერმინებისა „შუამოშობილი“, „ძილმომობილი“ (შილაკაძე, 1971:163,169-172).

საკითხს, თუ რომელია ჩონგურის მთავარი წყობა, ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. დღემდე ცნობილი სამი წყობის ანალიზის საფუძველზე მან დაასკვნა, რომ 1-ლი წყობა მთავარი უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 1938:280-281). ჩემს მიერ შეკრებილი მასალებით დასტურდება, რომ 1-ლ წყობაში სრულდება საჩონგურო სიმღერების უმრავლესობა, იგი, შეიძლება ითქვას, „უნივერსალური“ წყობაა. ამას ადასტურებს მისი აღმნიშვნელი ტერმინი „ჩვეულებრივი“ (შილაკაძე, 1971:171-172). წყობათა სიმრავლის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად ინსტრუმენტის ჰარმონიულ შესაძლებლობათა (აკორდიკის) და დიაპაზონის გაფართოების მოთხოვნილება მიმაჩნია (შილაკაძე, 1970:40). ოთხხმიან წყობათა რეალიზების და დიაპაზონის გაფართოების საშუალებას ჩონგურზე ზილის ანუ მეოთხე სიმის არსებობა წარმოადგენს (სიმის სიმოკლის მიზეზების შესახებ იხ. შილაკაძე, 1970:44-45).

საკრავის სიმთა რაოდენობა, როგორც წესი, არ განსაზღვრავს მრავალხმიანობის დონეს, მაგრამ ქართული ჩამოსაკრავი ინსტრუმენტების სიმთა რაოდენობა და სახელწოდებანი შეესატყვისება იმ რეგიონების სიმღერის ხმათა სახელებს, რომლებიც მოცემული ინსტრუმენტის გავრცელების არეალში არსებული მუსიკალური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. ჩონგურის გავრცელების არეალში სიმთა შემდეგი სახელწოდებები დასტურდება: 1-ლი სიმისათვის: დამწყები (გურია), მოლაპარაკე, დაწყილი (იმერეთი), გემაჭყაფალი (სამეგრელო); მე-2 სიმისათვის: მოძახილი (გურია), მომძახილებელი (იმერეთი); მე-3 სიმისათვის: ბანი; მე-4 სიმისათვის: ზილი, ძილი, მწრილი (გურია), ფერდი (იმერეთი), ძილი, მეჭიფაშე (სამეგრელო) (ჯავახიშვილი, 1938:173-174; წერეთელი, 1938; შილაკაძე, 1978:113). ჩონგურის სიმების ზემომოყვანილი სახელწოდებები სიმღერის ხმების სახელებია (ჯავახიშვილი, 1938:173-174), მაგრამ გამოხატავენ არა იმავე ფუნქციას, რასაც შესაბამისი სახელი სიმღერაში, არამედ სიმის რეგისტრულ მდებარეობას, მაგ., ბანი ეწოდება სიმს, რომელიც ყველაზე დაბალ ბგერას გამოსცემს (შილაკაძე, 1970:37).

ჩონგურის სიმთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზილის სიმი, რომელიც განსაზღვრავს ამ საკრავზე ოთხხმიანობის შესაძლებლობებსაც და გარკვეულწილად წყობათა სიმრავლესაც.

ჩონგურის სიმთა ყველა სახელწოდება, „ზილის“ გარდა, ქართულია. ეს ტერმინი ირანულია და აღნიშნავს უწვრილეს ხმას (ჯავახიშვილი, 1938:294,312). მისი ქართული შესატყვისებია: „წვრილი“, „ფერდი“ (რომლებიც გურულ და იმერულ დიალექტებშია შემონახული) და „მეჭიფაშე“ (მეგრული) (შილაკაძე, 1978:113). ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ზილი მერმინდელი დანართი სიმია სამძალიანი საკრავისა (ჯავახიშვილი, 1938:320).

გრ. ჩხიკვაძე ზილსა და აჭარული ოთხხმიანი სიმღერის ერთ-ერთ ხმას (შემხმობარი) შორის ფუნქციურ მსგავსებაზე მიუთითებდა (ჩხიკვაძე, 1961:12).

ვ. ახობაძის აზრით, ზილის სიმი ჩონგურზე გაჩნდა ოთხხმიანი სიმღერების გავლენით და ასრულებს მაღალი ბანის ფუნქციას, ზილის სიმი შეესაბამ-

ება სამხმიან სიმღერებში კრიმანჭულის ან გამყივანის ხმას, ხოლო ოთხხმიანში – შემხმობარს (ახობაძე, 1961:37-38). კრიმანჭული, გამყივანი და შემხმობარი მაღალი ბანის სახესხვაობანია (ახობაძე, 1961:22,33).

ამ უკანასკნელ თეზისს მხარს უჭერს ჩემ მიერ გურიაში დამონმებული ცნობა: „აგი ძაფი (ზილი, მ. შ.) არის კრიმანჭულის და გამყივანის ფანდი. კრიმანჭული, გამყივანი, მწრილი ერთია, მარა ერთმანეთის ვარიანტებია. ზოგ სიმღერას მწრილი უნდა, ზოგს – კრიმანჭული, ზოგს – მოძახილი (შილაკაძე, 1971: 199-201).

ამგვარად, კრიმანჭული, წვრილი, გამყივანი და შემხმობარი მაღალი ბანის ჰარმონიული ფუნქციის მატარებელი ხმებია, რომელთაც ჩონგურის შემთხვევაში რეგისტრულად შეესაბამება ზილის სიმის მიერ გამოცემული ბგერა.

ზილის სიმის წარმოშობას ივ. ჯავახიშვილი უკავშირებდა მრავალბმიანობის განვითარების იმ ეტაპს, როცა სამხმიანობა მთლიანად განმტკიცებული იყო და ოთხხმიანობა ჩნდებოდა (ჯავახიშვილი, 1938:294). ვ. ახობაძე ვარაუდობდა ზილის სიმის წარმოშობის ორ გზას, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და არ ეწინააღმდეგებიან: 1) ზილის სიმის გაჩენა ჩონგურზე მოხდა ოთხხმიანი სიმღერების გავლენით, 2) კრიმანჭულის დამკვიდრების შემდეგ (ახობაძე, 1961:35).

ზილის დაკავშირება ოთხხმიანობასთან ეჭვს იწვევს, რადგან ოთხხმიანობა მხოლოდ „ნადურებში“ – შრომის სიმღერებშია, რომელიც, როგორც წესი, არც ჩონგურის თანხლებით სრულდება და არც მასზე გადაიტანება. ქართული მრავალბმიანობის ძირითადი ფორმა სამხმიანობაა (ასლანიშვილი, 1970; ჩიჯავაძე, 1955). ხალხური მუსიკალური აზროვნების ეს პრინციპი საკრავებზეც უნდა ასახულიყო.

ზილის სიმის სამხმიანობასთან თუ ოთხხმიანობასთან კავშირის დასადგენად გასარკვევია ზილის სიმის მიერ გამოცემული ბგერის მელოდიურ-ჰარმონიული ფუნქცია სიმღერების თანხლებაშიც და საჩონგურო ჰანგებშიც. გურული, აჭარული და მეგრული საჩონგურო რეპერტუარიდან (Äðàèèè àèèè, 1908: 2-10; Äñ çäñ ä, 1894:6-22; ფარცხალაძე, 1936:15-16; ახობაძე, 1961; არქივი – გურული და მეგრული სიმღერები: 900, 903, 907, 910, 913, 975, 811, 812, 1526, 1532, 1561, 1658, 1634, 1994, 1695, 1696, 1762; Äèèññ, 1963:211) ჩანს, რომ ზილის სიმი გამოსცემს ყველაზე მაღალ და უცვლელი სიმაღლის ბგერას. იგი ოქტავურად აორმაგებს ბანს. ისეთი სიმღერებიც არის, სადაც ზილის სიმი საერთოდ არ მონაწილეობს (Äðàèèè àèèè, 1908:7, 8, 9, 11, 4, 5).

სიტყვა „ზილი“ ირანულიდან არის ათვისებული. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ზირ“ ყველა ირანულ ლექსიკოგრაფს ადამინის უწვრილესი ხმისა და საკრავის უმაღლესი ხმის გამომცემი სიმის სახელად აქვთ აღნიშნული (ჯავახიშვილი, 1938:312). მეცნიერი თვლის, რომ ეს სიტყვა სომხურშიც ირანულიდან არის შესული. ჰ. აჭარიანის სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ზირ// ჟირ ძველი სომხური ფორმაა, რომელიც თურქულის გავლენით გადაიქცა ფორმად „ზილ“. აჭარიანს მიაჩნია ეს სიტყვა სპარსულიდან ათვისებულად არაბულშიც და ქართულშიც (აჭარიანი, 1973:95). „ზირ“ არაბული საკრავის – უდის ერთ-ერთი სიმის სახელია; ტერმინი მოხსენიებულია მე-10 ს.-ის ტრაქტატში (Äñ çäñ, 1980:77).

ქართველი ლექსიკოგრაფის ს.-ს. ორბელიანის (1658-1725) ლექსიკონში „ზილი“ არის „წვლილი ხმის ცემა; წვლილი ხმის მცემელი; მსხირპანე ძალი.“. აქვე ამავე სიტყვას აქვს სხვა განმარტება – კოლო.. ძველ ქართულში სიტყვა „ზილის“ ერთადერთი მნიშვნელობა იყო „კოლო“ (აბულაძე, 1973:167).

„ზილი“ ქართულში მხოლოდ სიმის აღმნიშვნელად არ გვხვდება. დ. გუ-რამიშვილის (1705-1792), ბესიკის (1750-1791), იოანე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებებში ეს სიტყვა გვხვდება სიმღერის მაღალი ხმის მნიშვნელობით (ჯავახიშვილი, 1938: 60-62, 65). თანამედროვე მეტყველებაში ტერმინი შემორჩა მხოლოდ ჩონგურის სიმს (და ისიც არა ყველგან). რატომ? ჩემი აზრით, იმიტომ, რომ სხვა ქართულ საკრავზე არა გვაქვს აკორდები ოქტავურ ჩარჩოში, შესაბამისად, არ გვაქვს ოქტავური გაორმაგება, სადაც ბგერებს შორის რეგისტრული განსხვავება მკაფიოდ ჩანს.

ორიოდე სიტყვით შევხები ტერმინ „ჩონგურს“. ამ სახელწოდების საკრავი არ არის არც არაბულ, არც თურქულ, არც ირანულ ინსტრუმენტარიაში. „ჩუნგურ“ სახელწოდებით ინსტრუმენტი ცნობილია სომხეთში და დაღესტანში, მაგრამ აქ იგი საზის და თარის სინონიმად იხმარება (შდრ. Àdèân, 1963:108).

იოანე ბაგრატიონის მუსიკის მოკლე სახელმძღვანელოში, რომელიც შედგენილია არა უადრეს 1817-1820 წლებისა, დასახელებულია ჩვენთვის საინტერესო საკრავი. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ იოანე ბაგრატიონი განასხვავებს ერთმანეთისაგან ქართულ ჩონგურს, ქართულ ჩანგურს და ყიზილბაშურ ჩონგურს. ქართულ ჩონგურს იოანე ბაგრატიონის მიხედვით ჰქონია ორი თეთრი სიმი, ერთი ყვითელი და ზილის სიმი (ფერი მითითებული არ არის) და აქვს ექვსი ფარდა. ყიზილბაშური მისგან ფარდების მეტი რაოდენობით განსხვავდება (ჯავახიშვილი, 1938:155-156).

სიტყვა „ჩონგური“ (არც „ჩანგური“) ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში არ არის, რის საფუძველზეც ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ ეს სახელწოდება საკრავისა სულხან-საბას შემდეგდროინდელია (ჯავახიშვილი, 1938:154). მაგრამ ამ ტერმინის არსებობა მე-17 ს.-ში სხვა წყაროებით დასტურდება. ესენია: პოემა „სიბილაიანი“ (დანერილია მე-17 ს.-ის მე-2 ნახევარში), ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანი“ (დანერილია 1646-1656 წლებში) და მეფე-პოეტი არჩილი (1647-1713) (შილაკაძე, 2004:122-125).

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ჩონგური განმარტებულია როგორც საზი: „ჩონგური (სპარს.) – მომცრო საზი ოთხძალი ან ხუთძალი, ბალალაიკა“.

„ჩონგურ“ სახელწოდებით საქართველოში აღმოსავლური საკრავები იყო ცნობილი, რასაც ადასტურებს დ. არაყიშვილის და ა. მასლოვის კატალოგები (არაყიშვილი, 1925; I àññî á, 1909:17).

სომხეთში ცნობილი ჩანგურ ყოფილა ოთხსიმიანი, მსხლისებრი ან გადაკვეთილი რვაკუთხედის ფორმის, ლითონის სიმებიანი – ორი თეთრი და ორი ყვითელი, უსაქცევო, პლექტრით დასაკრავი, სადაფით და ფერადი ქვებით ინკრუსტირებული, ცნობილი სხვადასხვა სახელწოდებებით: ჩანგურ, ჩენკურ, ჩანგ, ჩენკ, ჩონგურ, ჩუნგურ (აჭარიანი, 1979: 99-101). ამ აღწერილობის მიხედვით სომხური საკრავი იოანე ბაგრატიონის მიერ აღწერილს ჰგავს. სიტყვის ძირი (ჩანგ) სპარსულია, სადაც იგი შესული უნდა იყოს ბაბილონურიდან (Galpin, 1937:38). გარეგნული ნიშნების მსგავსების მიუხედავად (მსხლისებრი კორპუსი, ინკრუსტაცია) აღმოსავლური და ქართული საკრავები უპირველესად წყობებით განსხვავდებიან. საქართველოში ჩონგურად ნოდებული ოთხსიმიანი საკრავი ქართულია წყობით, ტემბრით, რეპერტუარით.

ამგვარად, ჩონგური ქართული ხალხური ოთხსიმიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტია. მის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს „ზილად“ ნოდებული მეოთხე სიმის არსებობა, რომელიც დანარჩენ სამზე ერთი მესამედით მოკლეა, გამოსცემს უცვლელი სიმაღლის ყველაზე მაღალ ბგერას. ტერმინი „ზილი“ შემოსულია ირანულიდან. „ზილს“ დასავლურ ქართულ დიალექტებში ეძებენ-

ბათ შესატყვისები (წვრილი, ფერდი, მეჭიფაშე, ჭიფეში). რეგისტრულად ზილის ბგერა შეესაბამება სამხმიანი სიმღერის მაღალ ბანს.

ქართულ ინსტრუმენტარიუმთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ადასტურებს თეზისს იმის შესახებ, რომ ტრადიციული ქართული საკრავიერი მუსიკა ვოკალური მუსიკის მრავალხმიანობის განვითარების საერთო კანონზომიერებას ექვემდებარებოდა (მ. შილაკაძე). საკრავები თავის მხრივ ხელს უწყობდა სიმღერის მრავალხმიანობის განვითარების ყოველი ეტაპის დაფიქსირებას და გარკვეულწილად კონსერვირებას.

დამონმებული ლიტერატურა

- აბულაძე, ილია. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება.
- არაყიშვილი, დიმიტრი. (1925). *ქართული მუსიკა*. ქუთაისი: მეცნიერება საქართველოში არაყიშვილი, დიმიტრი. (1940). *ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა*. თბილისი: ტექნიკა და შრომა.
- არქივი – ხალხური შემოქმედების სამეცნიერო მეთოდური ცენტრის ფოლკლორის განყოფილების არქივი (ქ. თბილისი).
- ასლანიშვილი, შალვა. (1970). *ქართული (ქართლ-კახური) სიმღერების ჰარმონია*. თბილისი: განათლება.
- ახობაძე, ვლადიმერ. (1961). *ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები*. ბათუმი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.
- ორბელიანი, სულხან-საბა. (1966). *ლექსიკონი ქართული*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ფარცხალაძე, ალექსანდრე. (1936). *აჭარის ხალხური ცეკვები და სიმღერები*. ბათუმი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.
- შილაკაძე, მანანა. (1970). *ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა*. თბილისი: მეცნიერება (რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე).
- შილაკაძე, მანანა. (1971). გურიის 1971 წლის ექსპედიციის დღიური. ხელნაწერი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი (თბილისი).
- შილაკაძე, მანანა. (1978). *ქართული ხალხური საკრავიერი ჰანგების მრავალხმიანობა* (ზილის სიმის ფუნქცია საჩონგურო ჰანგებში). კრებულში: ჩიტაია, გიორგი (მთ. რედ), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XIV. გვ. 112-117. თბილისი: მეცნიერება (რეზიუმე რუსულ ენაზე).
- შილაკაძე, მანანა. (2000). *მრავალხმიანობა და ქართული ხალხური საკრავები*. კრებულში: წურწუმია, რუსუდან (პ/მ. რედ.), ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები. გვ. 164-170. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, (ინგლისური რეზიუმეით).
- შილაკაძე, მანანა. (2004). *იოანე ბაგრატიონის მუსიკის მოკლე სახელმძღვანელო*. კრებულში: სურგულაძე, ირაკლი (მთ. რედ), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI. გვ. 122-125. თბილისი: მემატეიანი.
- ჩიჯავაძე, ოთარ. (1955). *მრავალხმიანობის ზოგიერთი საკითხი*. თბილისი: საბჭოთა ხელოვნება, №2:37-40.
- ჩუბინაშვილი, დავით. (1984). *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩხიკვაძე, გრიგოლ (1961) – ინაიშვილი, ა., ნოლაიდელი, ჯ. *მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

წერეთელი, ბაბო (1938). *ზემოიმერული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა*. I. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ივანე. (1938). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ფედერაცია.

აჭარიანი, ჰრანია. (1973). *სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. ერევანი: უნივერსიტეტის გამომცემლობა (სომხურ ენაზე).

Àðàèèø àèèè (Àðàè-èàà), Æèi èððé. (1908). *Í àðí áí àÿ í àñí ÿ Çàí àáí í é Æðóçèè (Èi àðàò èè). Í òèèñé èç 2-í à ò Õðáí à Í óçú èàèùí í-yóí í ðàò è-áñéí é Èí í èññè. Í í ñèàà: Õèí í ðàò èÿ Æ Èèñí áðà è Æ. Ñí áñ*.

Àðèàñ (1963) – Æàðòéí à, È, Æèàá ààòí à, Æ, Ñçí àèòèàÿ, Ý. *Àò èàñ í óçú èàèùí ùò èí ñò ðó-í áí ò í á í àðí áí á ÑÑÑÐ Ì í ñèàà: Æ ñ. Í óç. Èçà-áí*.

Áúçá , Ò, Ñ. (1980). *Í óçú èàèùí ùá èí ñò ðóí áí ò ù Ñðááí áé Áçèè. Ì í ñèàà*.

Ãðí çáí à, Õðèñòí ò í ð. (1894). *Í èí áðáèùñèèá í áñí è. Ñáí ðí èè í àòàðèàèí à äèÿ í í èñáí èÿ í áñòí í ñòáé è í èáí áí Èàáèàçà, ¹ 18:6-22. Óáèèèñè: Èçááí èá Õí ðááèáí èÿ Èàáèàçñéí á ó-ááí í á í ððáá*.

Ì áñéí à, Æ, È. (1909). *Èèèóñò ðèðí ááí í í á Í í èñáí èá í óçú èàèùí ùò èí ñò ðóí áí ò í á. Ì í ñèàà*.

Galpin, F. W. (1937). *The Music of the Sumerians*. Cambridge.